ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის

გიორგი ახვლედიანის

2016 წლის 01 იანვრიდან 01 ნოემბრამდე საქმიანობის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 44-ე, 45-ე , 47 -ე მუხლებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის # 2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი"-ს მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად, როგორც საკრებულოს წევრი და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ათი თვის განმავლობაში ვმონაწილეობდი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებში, სადაც მიღებულ იქნა 75 დადგენილება და 341 განკარგულება. აქვე მოგახსენებთ იმასაც, რომ ვარ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის წევრიც.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულმა კომისიამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩაატარა 27 სხდომა და განიხილა 235 საკითხი, სადაც მივიღე აქტიური მონაწილეობა; შევისწავლე 109 საკითხი,რომელთა შორის არის:

- „ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის" ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ.თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ.თბილისის მიხეილ ჯავახიშვილის მემორიალური ბინა-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ.თბილისის გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური ბინა-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ.თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ.თბილისის მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის,"ა(ა)იპ ქ.თბილისის სოსო წერეთლის მემორიალური ბინა-მუზეუმის" და ა(ა)იპ „ქ.თბილისის თოჯინების მუზეუმის" რეორგანიზაციის (შერწყმა/გაერთიანება) შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების" შექმნის თაობაზე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 5 ფურცელი
№10/17615 28.10.16

თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ამ ეტაპისთვის მუნიციპალიტეტს გააჩნია ცხრა მუზეუმი, რომლებიც დაფუძნებულები არიან მერიის ა(ა)იპ-ებად, აღნიშნული განკარგულების პროექტით კი ეს ცხრა დამოუკიდებელი ა(ა)იპ-ი ჩამოყალიბდა ერთ მუზეუმების გაერთიანებად. გააერთიანებს როგორც ფინანსურ, სამართლებრივ, შესყიდვების ნაწილს და ასევე ერთიანად პოპულარიზებას გაუწევს ყველა მუზეუმს. არსებული გაერთიანება არ იქნება პირველი, როგორც წარმომდგენმა აღნიშნა, მუნიციპალიტეტს ანალოგიური მოდელი აქვს პანთეონების გაერთიანებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეების გაერთიანების სახით. განმარტებისთვის მოგახსენებთ, რომ 12-18 საშტატო ერთეული ჰყვება რეორგანიზაციაში, თუმცა აღსანიშნავია იქ ფაქტი, რომ გაერთიანებაში პარალელურად იქმნება ახალი შტატები, კერძოდ, პიარისა და მარკეტინგის შტატები. საბოლოო ჯამში კი შემცირებაში საშუალოდ 6 შტატი ჰყვება. აღნიშნული შტატების შემცირებაც ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან ერთი ბუღალტერი ემსახურებოდა ხუთ მუზეუმს და ხუთივე მუზეუმში ირიცხებოდა შტატში. შესაბამისად აღნიშნული საშტატო ცვლილებებით აღმოიფხვრება მსგავსი ხარვეზები და ჩამოყალიბდება გამართული საშტატო ნუსხა. საკითხთან დაკავშირებით მიღებულ იქნა დადებითი დასკვნა.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიციირების წესით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ"ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.ქ. თბილისის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვრა 2.5 ლარით თვეში. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობის სულადობა დგინდება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზის ინფორმაციით. როგორც მიმდინარე პრაქტიკა გვაჩვენებს, მთელ რიგ მისამართებზე სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზის შესაბამისად რეგისტრირებული არ არის არცერთი ფიზიკური პირი. უმეტეს შემთხვევაში ეს არის ბინები, სადაც რეალურად ცხოვრობენ მოქალაქეები რეგისტრაციის გარეშე და შესაბამისად არიან ნარჩენების წარმომქმნელები, თუმცა მათ არ ერიცხებათ დასუფთავების მოსაკრებელი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ისეთ საცხოვრებელს ბინებს/სახლებს, რომელთაც არ ერიცხებათ დასუფთავების მოსაკრებელი მოსახლეობის სულადობის მიხედვით და დასტურდება მოსახლეობის ცხოვრების ფაქტი, დაერიცხოს დასუფთავების მოსაკრებელი 2.5 ლარის ოდენობით. საკითხთან დაკავშირებით მიღებულ იქნა დადებითი დასკვნა.

- „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმთელობის დაცვის ქვეპროგრამის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის #33-129 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (ადრეული ძუძუს კიბოს მკურნალობის დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. აღნიშნული დადგენილების პროექტის მიხედვით ხდება ცვლილებების შეტანა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმთელობის დაცვის ქვეპროგრამის განხორციელების წესების დამტკიების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის #33-129 დადგენილებაში. კერძოდ ამავე დადგენილების პირველ მუხლს ემატება „თ“ ქვეპუნქტი: „თ) „ადრეული ძუძუს კიბოს მკურნალობის დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი N8).“ ხოლო დადგენილების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპიის ქვეპროგრამის განხორციელების წესის მე-4 მუხლს ემატება მე-4 პუნქტი: „4. თუ ქვეპროგრამის მოსარგებლეს თერაპიის დასრულებამდე შეეცვალა მოსარგებლის სტატუსი, მიუხედავად სტატუსის ცვლილებისა, შემთხვევა დასრულდება იმ პირობებით, რომლითაც დაიწყო მომსახურება. აღნიშნული ქვეპროგრამა დანართი #8-ს სახით, სრულიად ახალი სახის ჯანმთელობის დაცვის საშუალებას წარმოადგენს თბილისელი მოსახლეობისათვის ისეთი მძიმე სენის მიმართ, როგორიც ძუძუს კიბოა. აღნიშნული ქვეპროგრამის ბენეფიციარები იქნებიან ის პირები, რომლებსაც აქვთ პირველადი ლოკალიზაციის HER-2 დადებითი ძუძუს ადრეული სტადიის (I-III სტადია) კიბოს დიაგნოზი და ესაჭიროებათ ნეოადიუვანტური (ოპერაციამდე)/ადიუვანტური (ოპერაციის შემდგომ) ტარგეტულითერაპია.
  აღნიშნულ ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეეძლებათ 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ან იძულებით გაადადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სატატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი. ბენეფიციარს დაუფინანსდება ქვეპროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტის მაქსიმუმ 1 წლიანი კურსის მოცულობა. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტები უფინანსდებათ სრულად, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს ქვეპროგრამით დადგენილი მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის გათვალისწინებით - 80%-ის მოცულობით. საკითხთან დაკავშირებით მიღებულ იქნა დადებითი დასკვნა.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-129 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (ძვლის ტვინის

ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. ზემოაღნიშნული დადგენილების პროექტით, ახალი რედაქციით მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესი. პროექტით ახლებურად განისაზღვრება ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაგარიშგების წესი, კერძოდ, ქვეპროგრამის მოსარგებლეთა დაფინანსება განხორციელდება არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით. აგრეთვე, იცვლება ქვეპროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი აქტივობების ფორმულირება, კერძოდ, სრულად დაფინანსდება პოსტტრანსპლანტაციური პერიოდისმართვა.

ქვეპროგრამით მოსარგებლეები იქნებიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 40 წლამდე ასაკის, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე საქართველოს მოქალაქეები (მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი), რომლებსაც დასმული აქვთ შემდეგი დიაგნოზ(ებ)ი:

ა) მწვავე ლეიკემია; ბ) მწვაველიმფოიდური ლეიკემია; გ) ქრონიკული მიელოიდური ლეიკემია; დ) ჰისტიოციტოზი; ე) თალასემია და სხვა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური.

ტრანსპლანტაციის მომსახურების ღირებულების ლიმიტი განისაზღვრება შემდეგი ფარგლებით:

- ძვლისტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინაკვლევები - 15 000 ლარი;
- ალოგენური ტრანსპლანტაცია (მათ შორის პაციენტის კონდიცირება - ორგანიზმის მომზადება ტრანსპლანტაციისათვის და პოსტ ტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა) – 225 000 ლარი;
- ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია (მათ შორის პაციენტის კონდიცირება - ორგანიზმის მომზადება ტრანსპლანტაციისათვის და პოსტ ტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა) – 265 000 ლარი; საკითხთან დაკავშირებით მიღებულ იქნა დადებითი დასკვნა.

ამასთან, იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომებზე განვიხილე არაერთი განკარგულების პროექტი, რომელიც შეეხებოდა მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარითა და უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის საკითხებს. ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხები.

მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ჩაატარა 12 სხდომა , სადაც განხილულ იქნა 17 საკითხი. კომისიის საქმიანობის პრიორიტეტს ახალგაზრდობში სპორტის პოპულარიზაცია, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში ერთიანი პოლიტიკის

გატარება წარმოადგენს . კომისიის მუშობის პროცესში მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა საკითხების განხილვაში, მათ შორის:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ„თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრისა“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის“ რეორგანიზაციისა (შერწყმის (გაერთიანების)) შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე .

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივის განხილვა - დედაქალაქის საპატიო მოქალაქედ, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ალექსამდრე მეტრეველის კანდიდატურის წარდგენასთან დაკავშირებით.

დედაქალქის მოსახლეობის პრობლემათა გაცნობისა და მოგვარების მიზნით გამოვყავი მოქალაქეთა მიღების ერთი სამუშაო დღე, რომლის ფარგლებში პირადად გავესაუბრე 78 მოქალაქეს . ქ. თბილისის მოქალაქეების პრობლემების უკეთ გაცნობის მიზნით ათი თვის განმავლობაში ჩემი სამდივნოს მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ იქნა 24 გასვლითი შეხვდრა თბილისის რაიონის მოსახლეობასთან. ამასთან შეხვედრებს ვატარებდი მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად. მოქალაქეთა პრობლემების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა სოციალური შინაარსის პრობლემებთან ერთდ ინფრასტრუქტურული სახის თემები.

ათი თვის განმავლობაში მასპინძლობას ვუწევდი სხვადასხვა ქვეყნიდან სამუშაო ვიზიტით ჩამოსულ სტუმრებს. შეხვედრებზე განვიხილეთ ორმხრივი თანამშრომლობის მიმდინარე პრიორიტეტები და სამომავლო გეგმები.

როგორც, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კურატორობას ვუწევ სამ კომისიას - საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის, რომლის წევრიც თავად ვარ და ასევე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიას და ქ. თილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას :

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიამ ამ ხნის განმავლობაში ჩაატარა 20 სხდომა, განხილული იქნა კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული 56 საკითხი;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ ჩაატარა 13 სხდომა, განხილული იქნა 120 საკითხი.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი ახვლედიანი